ევროკომისიის პირველი ნაბიჯის, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ

დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ჩარევასთან ბრძოლის შესრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებები

კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის

2023 წლის 8 ნოემბერს ევროპულმა კომისიამ ევროკავშირის გაფართოების შესახებ ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიში წარადგინა. კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ევროკომისია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას გასცემს იმის გათვალისწინებით, რომ გადაიდგმება რიგი ნაბიჯები. ახალ 9 ნაბიჯს შორის პირველი ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ჩარევასთან ბრძოლას გულისხმობს.

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის კომუნიკაციის თანახმად, „უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების გადაწყვეტილების შემდეგ, ასევე, მოლდოვასა და უკრაინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ეს სამი ქვეყანა უცხოური საინფორმაციო მანიპულაციების კამპანიების ახალი ტალღის სამიზნე გახდა, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს გაწევრიანების მისწრაფებების დისკრედიტაციას[1], ევროკავშირისა და დასავლეთის დადანაშაულებას რეგიონში შექმნილ ვითარებაში. საქართველოში დეზინფორმაციის სპეციფიკური მიმართულება ცდილობდა იმის მინიშნებას, რომ დასავლეთი საქართველოდან რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს. ხელისუფლების მხრიდან საჭიროა აღნიშნულის [დეზინფორმაციის] უფრო აქტიური გამოაშკარავება და გაქარწყლება.“

1 აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის ანგარიში ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმოებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების უმთავრეს მიზანს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენდა. ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ 2022 წელს არსებით გამოწვევას წარმოადგენდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობა და, ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობები. ხელმისაწვდომია აქ: https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38924?fbclid=IwAR3eJ6qj3CqjGbV9ArYmyomOvtArffQFm6Bcg4fY4-CmP9OV3pHE1Kdq_t0

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ მიიჩნევს, რომ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირველი პუნქტის შესასრულებელად საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

საერთო რეკომენდაციები

- ევროკომისიის ანგარიშის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ხელისუფლება გაემიჯნოს და დაუპირისპირდეს დეზინფორმაციას, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს. ამასთან, ხელისუფლებამ ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ პროაქტიული კამპანია უნდა აწარმოოს.
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თანამშრომლობისთვის ხელშემწყობი გარემო შექმნას იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც წლებია ანტიდასავლურ და პრორუსულ დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით მუშაობენ[2]. ამ კუთხით, აუცილებელია, შეწყდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული რიტორიკა, უსაფუძვლო გამოძიება[3] და 2023 წლის მარტში ინიციირებული ე.წ. „უცხოეთის აგენტების კანონის“ შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება, თითქოს ის დემოკრატიის დაცვასა და გამჭვირვალობას ემსახურებოდა. ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობისთვის „ხელშემწყობი გარემო თავდასხმის ქვეშ მოექცა პოლიტიკური ლიდერებისა და რადიკალური ჯგუფების ხისტი რიტორიკის შედეგად და ასევე, იმ საკანონმდებლო ინიციატივით, რომელიც უცხოური დაფინანსების მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციებს ე.წ. „უცხო ქვეყნის აგენტებად“ აცხადებდა და რომლის დარღვევაც ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ჯარიმებსა და სისხლისსამართლებრივ დევნას მოიცავდა“.
- დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით პრინციპული გადაწყვეტილებები კონსენსუსის შედეგად უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნული მნიშვნელოვანია, მათ შორის, ევროკომისიის მე-9 ნაბიჯის გათვალისწინებით[4]. შესაბამისად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე მისი აღსრულების პროცესში, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფესიული წრეების ჩართულების უზრუნველყოფა. ამასთან, დაუშვებელია, პირველი ნაბიჯის შესრულების საბაბით, იმგვარი საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

---

2 აღსანიშნავია, რომ „კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ მზადაა, ითანამშრომლოს ყველა მხარესთან ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების მიზნით. ხელმისაწვდომია: https://infointegrity.ge/ka/koalitsia-informatsiis-sandoobistvis-saqartvelostvis-kandidatis-statusis-minichebis-rekomendatsiasa-da-dezinformatsiis-mimartulebit-akhal-datqmas--ekhmaureba

3 ანგარიშში გაეროს სპეციალურმა მომხსენებლმა აღნიშნა: უფლებადამცველთა წინააღმდეგ გამოძიების საქმე „მკაფიოდ მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიზანმიმართულ მცდელობაზე დამნაშავეებად გამოაცხადონ ტრენინგთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დამცველები, და საზოგადოების თვალში მოახდინონ ფუნდამენტური უფლებების დაცვის, როგორც პრაქტიკისა და განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებისა და სტუდენტების დელეგიტიმაცია, რომლებიც საკუთარი უფლებების დაცვას პროტესტის მშვიდობიანი გამოხატვით ცდილობენ“. ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Geo.pdf?fbclid=IwAR2TXzNQ64443P0z7rzqxfEfugwy2LVumxbxVZJyK43JJKG-yHmDJV7jKAg

4 ევროკომისიის მე-9 ნაბიჯში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთონ და მათ თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ: „სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა“. ხელმისაწვდომია: აქ.

აღმასრულებელ დონეზე

- როგორც მთავრობის ადმინისტრაციის, ისე სხვა უწყებებში არსებულმა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა, უნდა იმუშაონ იმ გაცხადებული მიზნის შესასრულებლად, რაც 2018 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მათი შექმნისას განისაზღვრა - „ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა“[5]. საქართველოს ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სამოქმედო გეგმის[6] თანახმად, პირველი ნაბიჯის შესრულებისთვის, მათ შორის, დაგეგმილია „ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის გაძლიერება როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსებით“.

- მნიშვნელოვანია, რომ როგორც მთავრობის ადმინისტრაციის, ისე სამინისტროებში არსებული სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები, მათი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ, საზოგადოებას რეგულარულად და პროაქტიულად აწვდიდნენ ინფორმაციას.

- მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა უწყებებმა დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე პროფესიულ ჯგუფებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განსაზღვრონ ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გამოწვევები და მათი ჩართულობით, დაიგეგმოს ეფექტური საპასუხო ნაბიჯები (რაც შესაძლოა მოიცავდეს ანტიდასავლური დეზინფორმაციის გამავრცელებელი ჯგუფების, მათი გზავნილების, ტაქტიკის გამოაშკარავებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს)[7].

- მნიშვნელოვანია, რომ ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მედეგობის გასაზრდელად, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრმა პროაქტიულად ისაუბროს და გამოააშკარაოს (ე.წ. „დასახელებისა და შერცხვენის“ (naming and shaming) ტაქტიკისა და წინასწარი გაქარწყლების (pre-bunking) ინსტრუმენტების გამოყენებით) ის ჯგუფები, გზავნილები და ტაქტიკები, რომლითაც საქართველოში რუსეთის მტრული საინფორმაციო კამპანიები და ჩარევის მცდელობები ხორციელდება. ამ მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა[8] დაასახელოს რუსეთთან კავშირში მყოფი ჯგუფები, რომელთა მიერ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმოებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების უმთავრეს მიზანს, სახელმწიფო უსაფრთხოების

5 საქართველოს მთავრობა, 2018, „მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება“. ხელმისაწვდომია https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=491&info_id=68608

6 საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა, „ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები“, გასაჯაროვდა 2023 წლის 25 დეკემბერს. ხელმისაწვდომია: აქ

7 საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 დეკემბრის გამართულ სხდომაზე 2024-2027 წლებისთვის მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია დამტკიცდა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელდა. სტრატეგია 2024 წლის 12 იანვარს გასაჯაროვდა. დოკუმენტზე მუშაობის პროცესი არ ყოფილა გამჭვირვალე და ინკლუზიური. ხელმისაწვდომია აქ

8 ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ანგარიშსწორებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების დევნის იარაღად. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებების დამცველთა მდგომარეობაზე 2023 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა რეკომენდაციები და წინასწარი დასკვნა, რომელშიც ცალკე თავი დაეთმო სახელმწიფო უწყებებისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის მაღალჩინოსნების მხრიდან ადამიანის უფლებათა დამცველების მტრებად გამოცხადების ტაქტიკას. ანგარიშში გაეროს სპეციალურმა მომხსენებლმა აღნიშნა: უფლებადამცველთა წინააღმდეგ გამოძიების საქმე „მკაფიოდ მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიზანმიმართულ მცდელობაზე დამნაშავეებად გამოაცხადონ ტრენინგთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დამცველები, და საზოგადოების თვალში მოახდინონ ფუნდამენტური უფლებების დაცვის, როგორც პრაქტიკისა და განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებისა და სტუდენტების დელეგიტიმაცია, რომლებიც საკუთარი უფლებების დაცვას პროტესტის მშვიდობიანი გამოხატვით ცდილობენ“. ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Geo.pdf?fbclid=IwAR2TXzNQ64443P0z7rzqxfEfugwy2LVumxbxVZJyK43JJKG-yHmDJV7jKAg

სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს. ასევე, საზოგადოებას გააცნოს რუსეთის სპეციალური სამსახურების მიერ ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობები[9].

- მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ითანამშრომლონ და გაზარდონ კოორდინაცია, როგორც ონლაინ, ასევე, რეალურ ცხოვრებაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის განკუთვნილი მედია/ციფრული წიგნიერების მასალების შექმნის, არსებული რესურსების დახვეწისა და მათი ეფექტური გავრცელებისათვის.

საკანონმდებლო დონეზე

- საქართველოს პარლამენტის ანგარიშის[10] „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“, თანახმად, „პარლამენტისთვის მნიშვნელოვანია იყოს ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ზეპარტიული ფორუმი, რომელიც დროდადრო და საჭიროების მიხედვით, თემატურ საკითხებზე გამართავს განხილვებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ჩართულობით. მსგავსმა განხილვებმა შეიძლება მიიღოს უფრო სიღრმისეული სახე და გადაიქცეს საგამოძიებო კომისიად, საკითხის მასშტაბის და რელევანტურობის შესაბამისად“.

  მათ შორის, აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა უნდა შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც კომპანია Meta-ს ანგარიშში მითითებულ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან დაკავშირებულ კოორდინირებულ და არაავთენტურ ქსელს შეისწავლის და შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებზე რეკომენდაციებს გასცემს.[11]

- საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი 2020 წლიდან რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის უარყოფითი გავლენის საპასუხო საქმიანობაზე პასუხისმგებელი კომიტეტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მან უზრუნველყოს, ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტში თემატური მოკვლევის პროცესის შედეგად მიღებული ზემოხსენებული ანგარიშის განხილვა და განახლება, მეორე მხრივ, კი დაიწყოს აღმასრულებელ დონეზე შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებზე ზედამხედველობა.

---

9 ევროკომისიის მიერ საქართველოზე მომზადებულ გაფართოების ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობის კარგად განსაზღვრული საკანონდებლო ჩარჩო არსებობს, პრაქტიკაში უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებზე სამოქალაქო ზედამხედველობა შეზღუდულია. ხელმისაწვდომია მე-17 გვერდზე: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf

10 ანგარიში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ“ შემუშავდა 2019 წლის 11 თებერვალს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ შექმნილი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის შედეგად. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/tematuri-mokvleva/sagareo/dezinformacia/angarishi-27.01-2020-geo.pdf

11 აღნიშნულის თაობაზე „კოალიციამ ინფორმაციის სანდოობისთვის“ 2023 წლის 4 მაისს განცხადება გაავრცელა. განცხადებაში კოალიცია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, რომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული საზედამხედველო მექანიზმები ანგარიშში მითითებული დეზინფორმაციული სქემების შესასწავლად, მათ შორის, შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია ან/და მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.
ხელმისაწვდომია: https://infointegrity.ge/ka/koaliciis-gancxadeba-metaze

- ამ მიზნით, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს დეზინფორმაციის საპასუხო ნაბიჯებზე პასუხისმგებელი ორგანოების (სტრატკომები, სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახური, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, განათლების სამინისტრო, სხვ.) რეგულარული და საჯარო მოსმენების ორგანიზება პარლამენტში.

- ასევე, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს ანტიდასავლურ დეზინფორმაციასთან ბრძოლის გზებზე რეგულარული საკომიტეტო მოსმენების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. ასევე, საერთო თანამშრომლობის ფარგლებში, უნდა გაიმართოს მსჯელობა იმ გზებზე, თუ როგორ გაიზარდოს სოციალური მედია პლატფორმების ანგარიშვალდებულება საქართველოს ბაზარზე, უპირველესად, ევროკავშირში არსებული დეზინფორმაციის საკითხზე შექმნილი კოდექსის[12] სულისკვეთების გათვალისწინებით. აღნიშნული, მათ შორის, შესაძლოა, მოიცავდეს პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობის ზრდას, მომხმარებლებისთვის დეზინფორმაციის ამოცნობის ინსტრუმენტების შექმნას, ფაქტების გადამმოწმებლებთან გაძლიერებულ თანამშრომლობას, და სხვა.

- ამავე კონტექსტში, მიზანშეწონილია, დაიწყოს კონსულტაციები როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებთან, ისე ადგილობრივ პროფესიულ ჯგუფებთან „ციფრული სერვისების აქტისა“ (DSA)[13] და ზემოხსენებული კოდექსის საქართველოს ბაზარზე გავრცელების შესაძლებლობის საკითხზე.

12 ევროკავშირში დეზინფორმაციის საკითხზე 2018 წელს შემუშავდა კოდექსი (Code of Practice on Disinformation), რომელიც 2022 წელს განახლდა და ამჟამინდელი ვერსია, მოიცავს იმ ინსტრუმენტებისა და ნაბიჯების ერთობლიობას, რომელიც ინდუსტრიას აღჭურვავს ონლაინ დეზინფორმაციასთან ბრძოლის თვითრეგულირებადი სტანდარტებით. 2022 წელს კოდექსს შეუერთდა 34 ხელმომწერი, მათ შორის, სოციალური მედიის პლატფორმები, ფაქტების გადამმოწმებლები, სარეკლამო ინდუსტრიის წარმომადგენლები, სხვ. ხელმომწერები თანხმდებიან, რომ გადადგამენ ნაბიჯებს დეზინფორმაციის გავრცელების დემონეტიზაციის, პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობის, ფაქტების გადამმოწმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერების, მკვლევართათვის საჭირო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებებით.

13 მსგავსი რეგულირების შემთხვევაში აუცილებელია, რომ აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა იყოს გარანტირებული.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დაცვა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა იმუშაონ არჩევნების მავნე უცხოური (რუსეთის) ჩარევისა და ასევე, ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციებისგან დასაცავად.

▶ უცხოური (რუსეთის) მავნე ჩარევის კონტექსტში:

მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოების საბჭომ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა წარმოადგინონ 2024 წლის არჩევნებში შესაძლო უცხოური (რუსეთის) მავნე ჩარევის შესახებ საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და განსაზღვრონ მათზე სახელმწიფოს საპასუხო და წინმსწრები ნაბიჯები (პასუხისმგებელი უწყებებისა და ქმედებების მითითებით).

ასევე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და შესაბამისმა ინსტიტუტებმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, აუდიტის სამსახური, ანტიკორუფციული ბიურო, ცენტრალური საარჩევნო კომისია და სხვა) კოორდინირებულად იმუშაონ, რათა არ დაუშვან რუსეთის მხრიდან, მათ შორის, ფინანსური რესურსებით (ცალკეული პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, თუ სხვა პარტიების საწინააღმდეგოდ კამპანიების ორგანიზება, და სხვ.), არჩევნებში ჩარევა[14]. აღნიშნული უნდა მოიცავდეს რუსეთთან შესაძლო, მათ შორის ფინანსურ, კავშირში მყოფი ჯგუფების იდენტიფიცირებას და მათი საქმიანობის, შემოსავლების პროაქტიულ შესწავლას, გამოძიებასა და აღნიშნულზე საზოგადოების ინფორმირებას.

არჩევნების უცხოური (რუსეთის) ჩარევისგან დაცვისთვის ასევე საჭიროა, რომ შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის (მედია, დეზინფორმაციაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფაქტების გადამმოწმებლები) შეიქმნას კომუნიკაციის არხები[15], რათა დროულად და შესაძლებლობის შემთხვევაში, წინმსწრებად მოხდეს ინფორმაციის გაცვლა, ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გამოაშკარავება, რომელიც არჩევნებში საქართველოს მოქალაქეებზე მავნე ზეგავლენას ცდილობს.

---

14 საქართველოში არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევის მცდელობის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 2020 წელს საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის, „დოსიე“ ანგარიშიდან, რომლის თანახმად, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო კამპანიას უწევდა კოორდინირებას, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერით. მომხდარზე საქართველოს პროკურატურას გამოძიების მოთხოვნით მიმართეს. საპასუხოდ, საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების კანონიერების ფაქტზე რეაგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენცია იყო. აუდიტის სამსახურში მომხდარზე დაიწყო მოკვლევა, რომლის ფარგლებშიც, სამსახურმა 37 პირის შემოსავლების შესახებ გამოითხოვა ინფორმაცია ბანკებიდან და შემოსავლების სამსახურიდან, გამოკითხა 2 პირი. ერთმა პირმა, აუდიტის სამსახურის აზრით, ვერ დაასაბუთა თანხის წარმომავლობა და მის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელიც გაიგზავნა სასამართლოში. სასამართლომ არ დაადგინა სამართალდარღვევა. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

15 მსგავსი თანამშრომლობის კარგ მაგალითს წარმოადგენს კორონავირუსის პანდემიის დროს ფაქტების გადამმოწმებლებსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (NCDC) შორის შექმნილი WhatsApp ჯგუფი, რომლის დახმარებითაც ინფორმაციის გაზიარება სწრაფად ხდებოდა. შედეგად, ფაქტების გადამმოწმებლები სოციალურ ქსელში გავრცელებულ დეზინფორმაციას დროულად ეხმაურებოდნენ და Meta-სთან პარტნიორობით, მათ ვირუსულად გავრცელებას ხელს უშლიდნენ.

ევროკომისიის რეკომენდაციისა[16] და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის[17] გათვალისწინებით, აუცილებელია გამოძიებულ იქნას მედია-პროფესიონალების წინააღმდეგ 2021 წლის 5 ივლისს განხორციელებული ძალადობა, რომელშიც სწორედ იმ ჯგუფების სავარაუდო დანაშაული იკვეთება, რომლებიც, პარალელურად, ანტიდასავლურ და პრორუსულ დეზინფორმაციას ავრცელებენ[18].

▶ ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციების კონტექსტში:

ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციების ნაწილი სოციალურ ქსელებში წარმოებული დასპონსორებული, ხშირად ანონიმური და პლატფორმების პოლიტიკის დარღვევით წარმოებული (მათ შორის, კოორდინირებული არაავთენტური ქცევა), მადისკრედიტებელი კამპანიებია, რომლებიც საზოგადოებრივ განწყობებზე მავნე ზეგავლენას ახდენს. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გადაწყვეტის გზებზე იმსჯელონ. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს იმგვარი ქცევის კოდექსის შემუშავებას, რომელზე ხელმოწერითაც პოლიტიკური ჯგუფები უარს იტყვიან, მათ შორის, დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის გზავნილებისა და სოციალური ქსელების არაეთიკური კამპანიისთვის გამოყენებაზე.

როგორც არჩევნებში უცხოური (რუსეთის) მავნე ჩარევის, ასევე ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციების ნაწილში, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სოციალური მედია პლატფორმების ანგარიშვალდებულების ზრდისთვის გააძლიერონ ძალისხმევა. მათ შორის, საერთო ძალისხმევა მიმართონ, რათა სოციალურმა მედია პლატფორმებმა საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დაცვის ხედვა წარმოადგინონ.

ამ ჩამოთვლილი ნაბიჯების გადადგმა ხელს შეუწყობს საქართველოში ე.წ. „მთლიანი საზოგადოების მიდგომის[19]“ (whole-of-society approach) ჩამოყალიბებას, რაც დეზინფომაციასთან ბრძოლის კონტექსტში საუკეთესო ევროპულ პრაქტიკად მიიჩნევა.

16 ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ მე-9 ნაბიჯში აღნიშნულია: „ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის განხორციელებისა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედია-პროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა.“

17 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „2021 წლის 5 ივლისს თბილისი პრაიდის ღონისძიებასა და 2021 წლის 6 ივლისს, 5 ივლისის აქციაზე ძალადობის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციაზე ძალადობრივად თავს ათეულობით ჟურნალისტსა და აქტივისტს დაესხნენ. ალტ-ინფოს მომიტინგეებმა ღონისძიების დროს სხვა ადგილას დემონსტრაციები მოაწყვეს. 2021 წლის ძალადობრივ მოვლენებთან დაკავშირებით არცერთი ჯგუფის ლიდერს ან ორგანიზატორს, მათ შორის, არც ალტ-ინფოს და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ ულტრამემარჯვენე ქსელებს, არ დაკისრებიათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ალტ-ინფომ და მისმა პოლიტიკურმა პარტიამ კონსერვატიულმა მოძრაობამ ქვეყნის მასშტაბით საქმიანობა კიდევ უფრო გააფართოვეს“. ხელმისაწვდომია აქ: https://www.state.gov/reports/country-reports-on-terrorism-2022/georgia

18 2023 წლის 30 ნოემბერს, რუსეთის უზენაესმა სასამართლომ „საერთაშორისო ლგბტ მოძრაობის“ აკრძალვისა და მისი ექსტრემისტულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხები რუსული სახელმწიფო პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლითაც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ხდება როგორც რუსეთის ფედერაციაში, ასევე რუსული გავლენის გამტარი ადგილობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. რუსული პროპაგანდა საქართველოში წლებია ევროკავშირის ფასეულობების დისკრედიტაციასა და იდენტობის დაკარგვის შიშის დათესვას ცდილობს. ხელმისაწვდომია: https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-26/888.pdf

19 ევროკომისია საქართველოზე მომზადებულ გაფართოების ანგარიშში აღნიშნავს, რომ საქართველომ „მთლიანი საზოგადოების მიდგომის“ გამოყენებით ჰიბრიდულ/კიბერ მედეგობის გასაზრდელად უნდა განაგრძოს ძალისხმევა. ხელმისაწვდომია 112-ე გვერდზე: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf

► კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის:

- საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- ღია სივრცე კავკასია (COS)
- ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI)
- მედიის ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS)
- ფრანკლინის კლუბი
- მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC)
- დემოკრატიის მცველები
- აი, ფაქტი - Ifact
- დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

ევროკომისიის პირველი
ნაბიჯის, ევროკავშირისა და მისი
ღირებულებების წინააღმდეგ
მიმართულ

**დეზინფორმაციასთან, უცხოურ
საინფორმაციო მანიპულირებასთან
და ჩარევასთან ბრძოლის
შესრულებისთვის აუცილებელი
ღონისძიებები**

კოალიცია
ინფორმაციის
სანდოობისთვის